პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 115 (6170)

14 ივნისი 1978 წელი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ТБИЛИСИ
МЕЖДУНАРОДНЫЕ ЛЕГКОАТЛЕТИЧЕСКИЕ СОРЕВНОВАНИЯ
1978
XIV
НА ПРИЗЫ ГАЗЕТЫ ПРАВДА
16-17 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საერთაშორისო ასპარეზობის წინ

## მშობლიურ თბილისში

გაზეთ „პრავდას" პრიზებზე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეთაგან თბილისში ერთ-ერთი პირველნი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უძლიერესი სპორტსმენები ჩამოვიდნენ. პირველი ივნისიდან ისინი აქ ვარჯიშობენ გადამწყვეტი სტარტებისთვის. სამოცამდე ათლეტი გამოცდილი მწვრთნელების ვ. კოზლოვის, ლ. ბარკოვსკის, გ. ფიოდოროვისა და სხვათა ხელმძღვანელობით თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის ხშირი სტუმრები არიან. ზოგიერთმა ამას წინათ აქ გამართულ გაზეთ „იზვესტიას" პრიზების საქალაქო გათამაშებაში უკონკურსოდ სცადა ძალა.

გუშინ არმიელები სწორედ „ლოკომოტივის" სტადიონზე საერთაშორისო სტარტებისწინა ერთ-ერთ გენერალურ რეპეტიციას გადიოდნენ.

— ჩვენს გუნდში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა უმეტესობაა, მაგრამ ისინი მოსამზადებლად სოჭში კი არ გავგზავნეთ, არამედ გამჯობინეთ აქ, თბილისში სრულვყოთ მათი ტექნიკა. გუნდში არიან სიმაღლეზე ხტომაში ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ყარაგანდელი ბუტუზოვა, ლენინგრადელი სტაიერი, ქვეყნის ჩემპიონი ლისკოვსკი, სამხტომში ქვეყნის წლევანდელი ლიდერი, ლენინგრადელი პისკულინი, სამხტომში ზამთრის საკავშირო შეჯიბრების ჩემპიონი და ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი, ბაქოელი ცეპელსკი, ქვეყნის ჩემპიონი, მინსკელი სიმაღლეზე მხტომელი გრიგორიევი და სხვები, აგრეთვე, თბილისელები სკრიპკა, რომლისგანაც შეჯიბრებაში მაღალ შედეგს ველით და ურის მტყორცნელი ფხაკაძე, — გვიყვება არმიელ სიმაღლეზე მხტომელთა მწვრთნელი ვ. კოზლოვი.

საუბარში ჩაერია წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სიგრძეზე მხტომელი ლ. ბარკოვსკი, რომელიც ახლა არმიელებს სიგრძესა და სამხტომში ავარჯიშებს. ეს კაცი სულ ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო.

— როცა ჩვენი სპორტსმენების სამზადისზე იტყვით რამეს, აუცილებლად დაწერეთ, რომ წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობამ და საქართველოს სპორტკომიტეტმა წვრთნისა და დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს და თუ მომავალ შეჯიბრებაში არმიელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ამაში მასპინძლების წვლილიც იქნება, — კმაყოფილი ამბობს იგი და სამხტომის სექტორისკენ მიეშურება, სადაც კუზელი სპორტსმენები ვარჯიშობენ.

სტადიონის ჩრდილოეთ სექტორში წარმოსადეგი აგებულების ქალი ბირთვის კვრაში ვარჯიშობს. კოზლოვმა ახლა იმ წერტილისკენ მიგვითითა.

— ის თამარა ბუფეტოვაა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ბირთვის მკვრელი. შეხეთ ფიოდოროვი როგორ გულმოდგინედ უსწორებს ხარვეზებს...

ამასობაში ბუფეტოვამ წვრთნა დაამთავრა და ორივე ხელი ნაბიჯით გასახდელისკენ გაეშურა. შესასვლელთან დავეწიეთ.

გ. ფიოდოროვი სიტყვაძუნწი კაცი როდი გამოდგა:

— თბილისში ჩამოსვლა მუდამ მსიამოვნებს, ეს ქალაქი ჩემი მშობლიური ქალაქიცაა. მე აქ მანამდეც და შემდეგ, საბჭოთა არმიის რიგებში, შვიდი წელი გამიტარებია. ბირთვის კვრაში ვარჯიში სწორედ აქ დავიწყე, აქაური საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბორის დიაჩკოვის ხელმძღვანელობით. ბადროს ტყორცნაში კი თავის ცოდნას ნინო დუმბაძე მინაწილებდა... თბილისში ბევრი მეგობარი მყავს. ისინი ზრუნვასა და დახმარებას არც ახლა მაკლებენ და კმაყოფილი ვიქნები თუ ჩემი აღსაზრდელების წარმატებით მათ ზრუნვას ერთგვარ სამაგიეროს გადავუხდი...

— რას უსურვებდით საქართველოს მძლეოსნებს? — ამ კითხვით მივმართეთ ფიოდოროვს.

— რა თქმა უნდა, ამ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებაზე ფიქრი ძნელია. გამოგიტყდებით ყველას გული გვტკივა, რომ საქართველომ მძლეოსნური ტრადიციები დაკარგა. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ სპორტული ბაზების სიმცირე აფერხებდა ამ საქმეს. ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამის დასტური გახლავთ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო „დინამოს" სტადიონი და ისიც, რომ „პრავდის" პრიზების წლევანდელი გათამაშების მასპინძლობა თქვენს დედაქალაქს ერგო. უეჭველია ეს საერთაშორისო შეჯიბრება რესპუბლიკის ახალგაზრდების სულს თავის კვალს დააჩნევს და მათ სექციებში სამეცადინოდ მასობრივად მიიზიდავს.

რაც შეეხება ჩვენს ამოცანას, ტურნირში საუკეთესო შედეგების მოპოვებაა, რათა ქვეყნის ნაკრებში მეტი ადგილი მივიღოთ. ყველა სპორტსაზოგადოების ღირსების საქმეა ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა გუნდში მეტი წარმომადგენელი ჰყავდეს...

ო. გელაშვილი.

სურათებზე: „იზვესტიის" პრიზების თბილისის საქალაქო პირველობაში 5000 მეტრზე რბენაში უკონკურსოდ მოასპარეზე არმიელი ე. ლისოვსკი ფინიშთან; თ. ბუფეტოვამ და გ. ფიოდოროვმა ვარჯიში ეს-ესაა დაამთავრეს.

## კენიელთა პირველი სიხარული

**სპორტულ** ფორმაში გამოწყობილი ბიჭუნები და გოგონები „იმედის სტარტების" შეჯიბრებაში მონაწილის ბარათებით ხელში ზანგებს შემოხვეოდნენ და ავტოგრაფებს თხოვდნენ.

ახლა თბილისში ყველამ იცის, რომ ჩვენს დედაქალაქში მალე სტარტს აიღებს მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება და თითოეული უცხოელის გამოჩენა გულისხმობს, რომ ის ამ ტურნირის მონაწილე ან სტუმარია, მით უმეტეს, რომ ნორჩების შეტევის ობიექტები სულ რაღაც ათიოდე წუთის წინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე თაკარა მზეში სირბილში ვარჯიშობდნენ და ახლა ოფლად ქცეულნი სასტუმროსკენ წასვლას აპირებდნენ, მაგრამ მომავალი მძლეოსნების ტყვეები აღმოჩნდნენ.

ჩვენც სწორედ მათი ნახვა გვაინტერესებდა: როგორ მოეწყვნენ თბილისში, როგორია მათი გეგმები.

საუბარი ვერ აეწყო. კენიელებს რუსული და მით უმეტეს, ქართული არ ესმით, ინგლისურზეც საკმაოდ მწყრალად არიან. ამიტომაც ისევ თარჯიმნის ვ. დაშევსკის დახმარება დაგვჭირდა.

ისინი სამნი არიან: დ. მურაია, ფ. კატჰეუგე და ნ. კიპლაგატი. აფრიკის ამ ქვეყნის წარმომადგენლები თბილისში პირველად არიან და ცხადია, ყველაფერი აინტერესებთ. იმდღევანდელი ვარჯიშით სამივე კმაყოფილი იყო.

— ამ სტადიონზე წვრთნას რა სჯობს, — გვითხრა მურაიამ და ხელით სტადიონის ირგვლივ ამწვანებული გორაკები მოხაზა, — ჩვენს ბიჭებს აქ ყოველ დღე სამოთხ საათს შეუჩერებლად რბენაც არ მოსწყინდებათ, მით უმეტეს თუ ასეთ ამწვანებულ სერებზე გასეირნებაც შესაძლებელი იქნება...

კატჰეუგე თავისი ქვეყნის ჩემპიონია 10000 მეტრზე რბენაში, კიპლაგატი კი უფრო დიდ ტიტულს ფლობს — სტიპლჩეზში კენიისა და აფრიკის ჩემპიონია. სამივე საბჭოეთში პირველად ჩამოვიდნენ და თავიანთ აღტაცებას უკვე აშკარად გამოთქვამენ.

— განსაკუთრებით მოგვწონს თბილისი. იმ სტადიონზეც ვიყავით (გულისხმობენ „დინამოს" სტადიონს). შესანიშნავი ბაზაა. უეჭველია ურეკორდებოდ „ვერ გადარჩება", განსაკუთრებით კმაყოფილი ვიქნებით თუ რეკორდსმენთა შორის რომელიმე ჩვენგანიც აღმოჩნდება, თუნდაც ეს რეკორდი ჩვენი, ეროვნული იყოს.

რაკი სიტყვა რეკორდებზე ჩამოვარდა, ვკითხეთ კიმომბვა და რონო თუ აპირებენ ჩამოსვლასმეთქი. მხრები აიჩეჩს. რონო ამერიკაში სწავლობსო, აგვიხსნეს ჩვენთვის უკვე საკმაოდ ცნობილი ფაქტი. მაშინ ვუთხარი, რომ კვირას რონომ ვენაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 10000 მეტრზე ასპარეზობისას მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ეტყობა სტუმრებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და ნამდვილი აფრიკული ხალისი სიხარული შეძახილებითა და ხელების მაღლა აწევით გამოხატეს, ხოლო, როცა თანამემამულის მიერ ნაჩვენები შედეგი მოითხოვეს საქმეში ქაღალდი და კალამი ჩაერია.

— რონო მალე დაგვიბრუნდება და შესაძლოა მოსკოვის ოლიმპიადაში თავისი ქვეყნის სახელით იასპარეზოს, — სიამაყით გვითხრა მურაიამ.

ო. ივლიაშვილი.

* * *

სურათზე: დ. მურაია (მარცხნივ) და ფ. კატჰეუგე ავტოგრაფებს არიგებენ.

ო. გელაშვილის ფოტო.

## ჩვენი ქალაქის ეშხიც რომ წაჰყვეთ...

**საქართველოს** დედაქალაქს დიდი სტუმრობა აქვს — გაზეთ „პრავდის" პრიზებზე მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრებაზე თბილისში ჩამოდის 1000-მდე სტუმარი — სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები, ჟურნალისტები...

კეთილ სტუმრებს შესაფერისი მასპინძლობაც უნდა და, ცხადია, ყველა ცდილობს ამ დღეებში სითბო და მზრუნველობა არ მოაკლოს მათ. როგორც ყოველთვის ერთ-ერთი პირველთაგანნი არიან ახალგაზრდები, კომკავშირელები. ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებს უმასპინძლებენ კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოთა კოლექტივები. ასე, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირელები შეფობენ დინამოელ მძლეოსნებს, რომელთა რაოდენობა ასამდე აღწევს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები — „ბურევესტნიკის" ასევე მრავალრიცხოვან გუნდს, სამედიცინო ინსტიტუტისა — საბჭოთა არმიის მძლეოსნებს (115 მონაწილე).

ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ახალგაზრდები იზრუნებენ სპარტაკელებზე, საავიაციო ქარხნის კომკავშირლები — „ტრუდის" გუნდზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და მეტროპოლიტენის კოლექტივები — სოფლის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა მძლეოსნებზე, ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი — „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებზე.

თბილისის ასპარეზობაზე ყველაზე მრავალრიცხოვანია სსრ კავშირის ნაკრები (200 კაცამდე). საუკეთესო საბჭოთა მძლეოსნების შეფები არიან სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება და საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი.

რაც შეეხება უცხოელ მძლეოსნებს, მათ მასპინძლობენ რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციათა კომიტეტი და საქართველოს სპორტკომიტეტი.

საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა აქვთ შემუშავებული შეფებს — თბილისისა და მისი შემოგარენის დათვალიერება, შეხვედრები თავიანთ ორგანიზაციებში, კულტურული პროგრამა (თეატრები, კონცერტები), სპეციალური პრიზების დაწესება და სხვა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მზრუნველი შეფები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა სტუმრებმა თან წაიღონ თბილის-ქალაქის სიყვარული, მისი ეშხი და მადლი.

ნ. ომიაძე.

# სარბიელი — მთელი ქვეყანა

ერთი წელი დარჩა მოსკოვსა და ტალინში სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური სტარტების დაწყებამდე. სვლა კი სპარტაკიადამ შარშან დაიწყო ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივი შეჯიბრებებით.

ჩვენმა სპარტაკიადებმა ბრწყინვალე კვალი დატოვეს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში. მათ დიდი როლი შეასრულეს მასობრიობის ზრდისა და ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების საქმეში. სპარტაკიადო ბატალიებში იწრთობოდა ხასიათები და იძენდნენ გამოცდილებას ჩვენი შესანიშნავი ათლეტები. აქედან, როგორც სასტარტო მოედნიდან, მიემართებოდნენ საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიური ოქროს საძიებლად... და რა თქმა უნდა, ყოველი სპარტაკიადა საბჭოთა სპორტის მატერიალური საფუძვლის განვითარებისა და განმტკიცებისთვის ახალი ნაბიჯი იყო. მთელს ქვეყანაში სპარტაკიადის წინა წლებში შენდებოდა ათიათასობით სპორტული ნაგებობა — მარტივი სათამაშო მოედნიდან დაწყებული თანამედროვე სტადიონებით, სპორტის სასახლეებითა და აუზებით დამთავრებული.

და მაინც წლევანდელი, რიგით VII საზაფხულო სპარტაკიადა განსაკუთრებულია. უპირველესად იგი ტარდება ოლიმპიადა-80-ის მისადგომებთან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, ვინც აპირებს მომავალ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრას. თუ რა სერიოზული გამოცდაა ამ ათლეტებისთვის, მათი მწვრთნელებისა და სპორტული ხელმძღვანელებისთვის VII საზაფხულო სპარტაკიადა.

ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ამ სპარტაკიადის მნიშვნელობა ჩვეული ჩარჩოებიდან გამოაქვს: მასში პირველად მიიღებენ მონაწილეობას უცხოელი სპორტსმენები, ამასთან, საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. ჩვენ ველით 80 ქვეყნის 2000 წარგზავნილს. ამას დავუმატოთ 8000 საბჭოთა მონაწილე და VII სპარტაკიადა ჭეშმარიტად ოლიმპიურ თამაშებზე არანაკლებ გრანდიოზული და წარმომადგენლობითი ასპარეზობა გამოვა.

არაერთხელ მინახავს „წინაოლიმპიური კვირეულები". როგორც წესი, ესაა საშუალო დონის საერთაშორისო შეჯიბრებები. ჩვენ ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ სპარტაკიადის ტურნირი ოლიმპიადის გენერალური რეპეტიცია გახდეს. მოსკოვსა და ტალინში შეჯიბრებები ძირითადად მოეწყობა იმ ბაზებზე, რომლებზეც ერთი წლის შემდეგ ოლიმპიური ბატალიები გაიმართება. შეჯიბრებებს მოემსახურებიან არბიტრები, რომელთაგან ბევრი ოლიმპიურ თამაშებში იმსაჯებს. გამოიცდება, აგრეთვე, მომსახურების ის სფეროები, რომელთა სიზუსტეზე, სისწრაფესა და უშეცდომო მუშაობაზე დამოკიდებული იქნება 1980 წლის შეჯიბრებების წარმატებით ჩატარება. ერთი სიტყვით, VII სპარტაკიადა საბჭოთა ქვეყნის ოლიმპიადისთვის მზადყოფნის თავისებური გამოცდა იქნება.

მკითხველს ალბათ დააინტერესებს, რომ სპარტაკიადის ფინალურ პროგრამაში სპორტის 30 სახეობა შედის. ეს უფრო ვრცელი პროგრამაა, ვიდრე ოლიმპიური. ზედმეტი არ იქნება თუ აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ სპარტაკიადა კომპლექსური შეჯიბრებაა. მის ჩათვლაში შედის შარშან დამთავრებული II საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშებისა და მოსწავლეთა მომავალი XV საკავშირო სპარტაკიადის შედეგები.



**დღის წესრიგში: სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა**

მინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვა ამ მომენტს, ვინაიდან იგი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდი ყურადღება ეთმობა ოლიმპიური რეზერვის პოვნას და მომზადებას... დღეისთვის რეზერვის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე არსებითია.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილი ორი წელი არცთუ ცოტაა. მაგრამ იგი საკმარისია მხოლოდ იმ სპორტსმენთათვის, ვინც ნამდვილად შეუპოვარი და გაბედულია, ვინც ოცნებობს გახდეს ქვეყნის ოლიმპიური გუნდის წევრი და ღირსეულად იასპარეზოს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

უპირველესად ასეთი ათლეტებისთვის VII სპარტაკიადა იქნება შუალედური ფინიში, რომელიც დაეხმარება მათ მზადების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენაში, მომავალი წარმატების შანსების განსაზღვრაში, ახალი ოლიმპიური სიმაღლის გადამწყვეტი იერიშისთვის გზის არჩევაში.

სპარტაკიადა დიდი და პასუხსაგები მოვლენაა თითოეული სპორტსმენის ცხოვრებაში. აქ გამარჯვება საპატიო და საჭიროა. უეჭველია, რომ სპარტაკიადის სტარტების შედეგებზე დამოკიდებული იქნება მწვრთნელთა მიერ ქვეყნის ნაკრები გუნდების, მომავალი ოლიმპიელების კანდიდატების შერჩევა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამარჯვებულებმა, პრიზიორებმა და ახალგაზრდა სპორტსმენებმა შეინარჩუნონ ძალები და შესაძლებლობანი მომავალ წელს შედეგების გასაზრდელად. გასაკვირი არ იქნება თუ ნაკრების რომელიმე მწვრთნელმა, სპარტაკიადის ფინალების გაანალიზების შემდეგ გუნდის ფორმირებისას უპირატესობა მიანიჭოს არა გამარჯვებულს, არამედ, ვთქვათ, სატურნირო ცხრილში V ან X ადგილზე გასულს, უფრო სწორად, სპორტსმენს, რომლის მზადებაშიც შესამჩნევი იქნება ოლიმპიური პერსპექტივა. აი, რატომაა, რომ ვლაპარაკობ სპარტაკიადაზე, როგორც საშუალედო ფინიშზე. მთავარი გამართება ერთი წლის შემდეგ და მზადების საბოლოო მიზანი — სწორედ ეს მთავარი ფინიშია!

დღეს კი VII საზაფხულო სპარტაკიადა გზაშია. მთელი ქვეყანა უშველებელ სასტარტო მოედნად გადაიქცა. გაიშალა შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში, დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადების ფინალები.

მასობრივი შეჯიბრებების ამ ეტაპს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მის წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია მთელი სპარტაკიადის წარმატება. ჩვეულებრივ, სპარტაკიადებში 50 მილიონამდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ამოცანა ისაა, რომ VII სპარტაკიადა გახდეს ახალი ნაბიჯი, განსაზღვროს შეჯიბრებებში მოსახლეობის მასობრივი მონაწილეობის ახალი ზღვრები.

ამასთან, საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებები აუცილებელი არ არის სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდეს. დღეს მნიშვნელოვანია აღვილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სტარტების ძიება. ფიზკულტურელთა რიგების გასაზრდელად ძალიან პერსპექტიულად მიმაჩნია ჯანმრთელობისა და სპორტის ოლიმპიადები.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ხალხი გამოვიდეს სტარტებზე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, მათ შევუქმნათ რეგულარული ვარჯიშის პირობები, შესაძლებლობა მივცეთ ყოველ შაბათსა და კვირას მონაწილეობა მიიღონ საინტერესო სპორტულ ღონისძიებებში. ლაპარაკია ჩვენი ფიზკულტურელების მრავალმილიონიანი არმიის ხარისხზე, ამ არმიის ჯანმრთელობაზე, მის აქტიურ დასვენებაზე. სპარტაკიადის ამ მთავარი და ყველაზე კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტას უნდა მოახმარონ მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ადგილებზე სპორტულმა ხელმძღვანელებმა. საბოლოო ანგარიშში, ვიმეორებ, სპარტაკიადის მასობრივი შეჯიბრებების წარმატებაზეა დამოკიდებული მისი ფინალური სტარტების წარმატება, რადგანაც ჩვენი დიდი სპორტის ძლიერება მის მასობრიობასა და საჯაროობაშია.

ა. კოლესოვი,

**სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.**

## მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმ

**საქართველოს** მძლეოსნობის ფედერაციის მორიგ პლენუმზე, რომელიც ამას წინათ ფიზკულტურის ინსტიტუტის კონფერენცდარბაზში გაიმართა, გაწეული მუშაობის ანგარიშით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნ. დუმბაძე**. მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობაზე და მწვრთნელთა საბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკეს საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **ქ. მალიშკოვმა** და სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ბ. დიაჩკოვმა**.

პლენუმზე ფედერაციის, აგრეთვე, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და მწვრთნელთა საბჭოს საქმიანობის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ **ა. ბედუკაძე, ვ. ნედაშკოვსკი, ვ. სამსონაძე, გ. გერსამია, ე. გაგუა, დ. იოსელიანი, ა. ბერიძე, ნ. ყურაშვილი, ა. მჭედლიშვილი, ა. იაცკევიჩი** და **ა. გიგაური**.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ს. ჯაიანმა**.

მოხსენებებსა და მოკამათეთა გამოსვლებში ლაპარაკი იყო იმ მუშაობაზე, რაც ფედერაციამ საანგარიშო პერიოდში გაწია. ითქვა, რომ 29 სხდომაზე მოსმენილ იქნა ათობით სხვადასხვა ხასიათის საკითხი ბაზების მდგომარეობის, გუნდების, სპორტსკოლების, რაიონული და საქალაქო ფედერაციების საქმიანობის შესახებ, აღინიშნა, რომ ფედერაცია აქტიურად მონაწილეობდა თბილისის „დინამოს" და სოხუმის „დინამოს", აგრეთვე, ალახაძის სტადიონების მძლეოსნური სექტორების, თბილისის მანეჟის მოწყობაში.

მაგრამ ამ ორგანოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა, რაც რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარებას აფერხებდა. პლენუმზე ითქვა, რომ ფედერაციის 17 წევრიდან მისი შემადგენლობის მესამედი უმოქმედობდა, სუსტი იყო ფედერაციის კავშირი განათლების სამინისტროსთან, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებთან, სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა საშეფო მუშაობას, დაბალი იყო მძლეოსნობის პროპაგანდის დონე, რესპუბლიკის 276 მწვრთნელი შეთავსებით რამდენიმე ადგილზე მუშაობდა. უკონტროლობის გამო მწვრთნელები არ ზრუნავდნენ პრაქტიკული და თეორიული დონის ამაღლებაზე.

სპორტსაზოგადოებების საბჭოების, საქალაქო და რაიონული ფედერაციების, რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისადმი ნაკლები კონტროლის ბრალი იყო ისიც, რომ საქართველოს მძლეოსნობამ მთლიანად დაჰკარგა ტრადიციები. საკავშირო ხარბიელიდან თანდათან გაქრნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ფედერაცია ვერ უზრუნველყოფდა მძლეოსნობის განვითარების საკითხებზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას: არ უზრუნია იმაზე, რომ სპორტსკოლების რესპუბლიკური პირველობა გამართულიყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ საკავშირო სპორტკომიტეტს წლეულს რესპუბლიკის 10 საუკეთესო მძლეოსნის სიაც კი ვერ წარუდგინა. არ ტარდებოდა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციები, საზოგადოებრივი კადრების მომზადებისთვის არავინ ზრუნავდა. რესპუბლიკური ფედე[რაციის] [illegible] იყო [illegible] ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობაში სერიოზულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი.

პლენუმზე ლაპარაკი იყო სპორტსაზოგადოებებში მძლეოსნობის უკმარ დონეზე, პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის კი ფედერაციას არც ერთი საზოგადოების თავმჯდომარე არ მოუწვევია. ორატორებს არც იმის თქმა დავიწყნიათ, რომ საქართველოში მძლეოსნობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მძლეოსნობის სწავლების დაბალი დონე. იქ, სადაც მძლეოსნობა ისწავლება, განსაკუთრებით სპორტულ სკოლებში, ყველა სახეობის განვითარებას ერთნაირი ყურადღება არ ეთმობა. სპორტული სკოლები მათთვის სავალდებულო სასწავლო პროგრამის გავლას ვერ ასწრებდნენ.

## ხარვეზები არავის დაუმალავ

ახლახან ქუთაისში ჩატარებულ უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადაში მოასპარეზე მძლეოსნებმა სულ ერთი რვა მესამე თანრიგის შედეგი ძლივს აჩვენეს.

შეიმჩნევა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტი: ზოგ ქალაქში მწვრთნელთა სიჭარბეა, ზოგ სპორტსმენს კი მწვრთნელი არ ჰყავს.

დ. იოსელიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისის ასობით სკოლიდან მძლეოსნური ბირთვი [illegible] სკოლას თუ აქვს და ისინიც მი[illegible]მალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ხშირია შემთხვევები, როცა რესპუბლიკის ბევრ ქალაქ[illegible] რაიონულ ცენტრში სპორტის [illegible] სახეობას აბუჩად იგდებენ: ფეხბურთელები, მათი მწვრთნელები [illegible] იძლევიან მძლეოსნობაში შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარების უფლებას. ასე იყო მაგალითად ამას წინათ ზუგდიდში. რის გ[illegible] საქმეში ქალაქის ხელმძღვანელობის ჩარევა გახდა საჭირო.

ითქვა, რომ რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრა. მჭედლიშვილმა გააკრიტიკა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლა და თქვა, რომ იგი ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საქმიანობის ფარად გადაიქცა. ამ სკოლას ამოფარებული საზოგადოებები სახეობის განვითარებისთვის აღარაფერს აკეთებენ.

პლენუმმა აირჩია საქართველოს სსრ ფედერაციის ახალი შემადგენლობა.

რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ო. ზუ[illegible]ია, მოადგილეებად — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის დეკანი გ. ნადირაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ქ. ტყეშელაშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს მძლეოსანთა უფროსი მწვრთნელი ჭ. გაგუა.

# „მცირე ავიაციის" მშენებლები

რუსთავში, საქართველოს დოსააფის სპორტტექნიკური კლუბის ბაზაზე დამთავრდა რესპუბლიკის პირველობა ავიასამოდელო სპორტში. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ აჭარის, თბილისის, რუსთავის, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის საავიაციო ქარხნის დოსააფის 40 აღსაზრდელი. სამწუხაროდ, საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ ზაჩხერელი და ქუთაისელი მოდელისტები.

სარბოლო მოდელებით შეჯიბრება მოიგო სპორტის ოსტატ გ. მურადიანისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატ ვ. წიქარიძის ნამუშევარმა. საჰაერო ბრძოლაში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატების მ. შავდიასა და გ. გაბარაშვილის მიერ დამზადებული მოდელი, ხოლო ასლების მოდელებით ტურნირში საუკეთესო აღმოჩნდა პირველთანრიგოსან ვ. ლუცკერის ნამუშევარი.

ჩქაროსნულ მოდელებში ბადალი არ ჰყავდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის ი. ტოკარევის მანქანას. პილოტირებული მოდელებით შეჯიბრება მოიგო სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ი. ანდროსენკომ. ყველა ჩემპიონი თბილისელია.

მაყურებელთა მოწონება ხვდა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე ზ. მგელაძის (ქობულეთი) რადიომართვის მოდელს.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თბილისის ნაკრები — 3 საჯარიმო ქულა, აჭარა — 10, რუსთავი — 11.

ო. კიკნაველიძე,

**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

• • •

**სურათებზე: ზ. მგელაძე თავის თვითმფრინავს გასაშვებად ამზადებს; მარჯვნივ — მ. შავდია და გ. გაბარაშვილი ფინიშის შემდეგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველთა დიდი უპირატესობით

## მოსწავლეთა რესპუბლიკური

**საგარეჯოულო** ველორბოლაში ასპარეზობამ 8 კოლექტივს მოუყარა თავი. მართალია, ზესტაფონის, გორისა და ზუგდიდის გუნდებმა სამდღიან ბრძოლაში, რომელიც ნატახტარის მიდამოებში ჩატარდა, საბოლოოდ შესაბამისად VI, VII და VIII ადგილები დაიკავეს, მაგრამ ტურნირში მათი მონაწილეობა მაინც მისასალმებელია. როგორც ჩანს, ამ ქალაქებში პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგეს მოსწავლეთა შორის სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის.

რუსთავმა შესანიშნავად მომზადებული გუნდი გამოიყვანა.

— ეტყობა აქაურ მწვრთნელს, წარსულში საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ველოსიპედისტს იური კრასავცევს გულმოდგინედ უმუშავია, — გვეუბნება შეჯიბრების უფროსი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი ი. გუნია. — მოსწავლეებმა მეტალურგთა ქალაქიდან სამივე დისტანცია მოიგეს და საკმაოდ მაღალი შედეგებიც აჩვენეს. თბილისის ნაკრების ერთგვარი წინსვლაც იგრძნობა: დედაქალაქის ველოსიპედისტებმა ამჯერად საერთო გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს, მაგრამ თუ მათ რუსთავის, აგრეთვე, მეორე ადგილზე გასული აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და სხვათა შესაძლებლობებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ თბილისის ნაკრებს ძლიერი სპორტსმენების მომზადების მეტი ხელსაყრელი პირობები აქვთ. სამწუხაროდ, თბილისში მომუშავე მწვრთნელები ამ პირობებს ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ...

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მცხეთის ავტოინსპექციის თანამშრომლების კარგმა მუშაობამ, რომლებმაც ველოსიპედისტებს უსაფრთხოების ყველა პირობა შეუქმნა.

ტურნირის მონაწილენი თავდაპირველად დაყოფილი სტარტით 25 კილომეტრზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მთელ ასპარეზობას ტონს აძლევდნენ აჭარის გუნდის წევრი ჯ. ცივაძე, რომელმაც ამასწინათ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გუნდთან ერთად საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში გამარჯვება იზეიმა, ა. ალპატოვი (აფხაზეთი) და ს. სპირიდონოვი (რუსთავი).

ფინიშის სწორზე რუსთავის მე-19 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი სპირიდონოვი უფრო მარჯვე აღმოჩნდა და პირველობაც მას დარჩა — 35.37,0. ცივაძე ჩემპიონს 0,8 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ალპატოვი — 36 წუთი.

მეორე დღეს 50 კილომეტრზე გუნდური რბოლა ჩატარდა. რუსთავის კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპირიდონოვი, მე-7 სკოლის მოსწავლეები—მეცხრეკლასელი ე. ლუკაშოვი და მეათეკლასელი ს. გლაზოვი, აგრეთვე 1-ლი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ვ. შეყილაძე, რბოლა უფრო დიდი უპირატესობით მოიგო (1:08.20). II ადგილზე გასული აფხაზეთის გუნდის შედეგია 1:10.40. III პრიზიორია თბილისის კოლექტივი — 1:11.40.

ბოლო დღე 75 კილომეტრზე ჯგუფურ შეჯიბრებას დაეთმო, რამდენიმე სპორტსმენმა ცადა დაწინაურებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. ამ დღეს ველოსიპედისტები ერთმანეთს გულმოდგინედ აკონტროლებდნენ. იმ აღმართზეც კი, სადაც ფინიში მოეწყო, ბოლო მონაკვეთს თითქმის ყველამ ერთდროულად შეუტია. სწორედ ამ აღმართზე იჩინა თავი საუკეთესო ფიზიკურმა მომზადებამ. ს. გლაზოვმა (რუსთავი) ოდნავ დაასწრო ე. ჯიქიას (აფხაზეთი), ვ. შეყილაძე (რუსთავი) III პრიზიორი გახდა.

ქეთევან ყანჩელი.

• • •

სურათებზე: 75 კილომეტრზე ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე; რუსთაველთა კვარტეტი, რომელმაც გუნდურ შეჯიბრებაში იმარჯვა.

ო. გელაშვილის ფოტოები.

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის განვლილი ტურის ტექნიკური შედეგები.

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ 2:1. მასპინძელთა 2 გოლს (შეპელი, პლოსკინა) ტორპედოელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (გრიშინი).

დუბლიორები — 2:1.

„სპარტაკი“ — „არარატი“ 3:0. 2 გოლი გაიტანა იარცევმა, 1 — შავლომ. ჯერ გაფრთხილებული, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გაძევებულ იქნა ერევნელი ფარსადანიანი.

დუბლიორები — 0:2.

„შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ 2:1. დაწინაურდნენ მასპინძლები (საფონოვი, რეზნიკი). საპასუხო გოლი გაიტანა ოვჩინიკოვმა (პენალტით). გაფრთხილებული იქნენ ლოკომოტიველები კამზულინი, გაზაევი, ოვჩინიკოვი და დონეცკელი იაროშჩენკო.

დუბლიორები — 4:1.

„ზარია“ — „ქაირათი“ 2:2. „ზარიას“ მხრივ ორივე გოლი გაიტანა კოლესნიკოვმა, სტუმართაგან — სტუკაშოვმა.

დუბლიორები — 2:1.

„დნეპრი“ — ცსკა 1:2. არმიელი ბელენკოვის გოლი გაქვითა კრამარენკომ, მაგრამ შესვენების შემდეგ კორობოჩკამ მეორედ აიღო „დნეპრის“ კარი.

დუბლიორები — 1:1.

„დინამო“ კ. — „ნეფთჩი“ 1:1. კიეველებმა ბურთი გაიტანეს 11-მეტრიანი დარტყმით (ბურიაკი). ანგარიში 90-ე წუთზე გაათანაბრა ხაჩიშვილიმ.

დუბლიორები — 1:2.

„დინამო“ მ. — „ფახთაქორი“ 1:0. გოლი, რომელმაც დინამოელებს გამარჯვება მოუტანა, მე-2 წუთზე, გაიტანა კოლესოვმა.

დუბლიორები — 1:0.

## ძნელი გამარჯვება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:1 (1:0).

„ტორპედო“: მჭედლიძე, სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე (შელია), ოქროპირაშვილი (ა. კვერნაძე), ბურკაძე, ქვირია, ფარულავა (ცვაჭანტირაძე), ძებისაშვილი, ხუცურაული.

„პამირი“: ტროსტენიუკი, მოსიაგინი, ჩერევჩენკო, კირილენკო, მურადოვი, ტარბაევი, აზიმოვი (იურდაშევი), სალიხოვი (დიდიჩი), გესი (კუზნეცოვი), რაიმჯანოვი, ტურსუნოვი.

მსაჯი ვ. ბახკაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:2.

I ლიგის წამყვან ჯგუფში არ არის გამოკვეთილი ერთპიროვნული ლიდერი, რამდენიმე გუნდს აქვს წარმატებით ბრძოლის პერსპექტივა და ახლა აქ მყოფი კოლექტივებისთვის დიდად ფასობს თითოეული ქულა. ამიტომ იყო, რომ ქუთაისელებმა მთელი მონდომებით იბრძოლეს გამარჯვებისთვის, მაგრამ არც მეტოქე ჩამორჩა მათ და ყველაფერი გააკეთა, რათა თავისი აქტივისთვის მიემატებინა თუნდაც ქულა.

ტორპედოელებმა რატომღაც ნელ ტემპში დაიწყეს თამაში და საშუალება მისცეს სტუმრებს მოეწესრიგებინათ დაცვითი ხაზების ურთიერთმოქმედება. ამის გამო კარგა ხნის მანძილზე თამაში მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. შემდეგ ფარულავას შეეძლო გაეხსნა ანგარიში, მცირე ხანში კი კონტრშეტევა განახორციელა „პამირმა“ და სულაქველიძეს კარის ხაზიდან მოუხდა ბურთის გამოტანა.

26-ე წუთზე, ტორპედოელთა ერთ-ერთი იერიშისას დუშანბელთა საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა მცველმა. ბურკაძის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია ტროსტენიუკმა, მაგრამ ბურკაძემ მიუსწრო ბურთს და გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

შესვენების შემდეგ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შესამჩნევად გააძლიერეს თამაში, უკვე 48-ე წუთზე სულაქველიძეს მიეცა ანგარიშის გაზრდის საშუალება. 61-ე წუთზე „პამირის“ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მცველებმა უხეშად ითამაშეს ძებისაშვილის წინააღმდეგ. კარგად გათამაშებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი აღმოჩნდა სულაქველიძესთან, ძლიერი დარტყმა და მეკარე ტროსტენიუკი იძულებული იყო მეორედ გამოეტანა ბურთი ბადიდან.

ამის შემდეგ „ტორპედომ“ კვლავ მოუკლო ტემპს, რის შედეგადაც სტუმრებმა შეძლეს სხვაობის შემცირება ანგარიშში. საპასუხო გოლი 69-ე წუთზე გაიტანა დიდიჩმა. ტორპედოელებმა მიაღწიეს მეტად საჭირო გამარჯვებას.

თ. ხარაბაძე,

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 4:1, ასკ (ოდესა) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:1, „კარპატი“ (ლვოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 5:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „თერგი“ (გროზნო) 3:2, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:2.

### პირველი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 14 | 9 | 2 | 3 | 19—10 | 20 |
| „ყუბანი“ | 14 | 8 | 4 | 2 | 22—10 | 20 |
| ასკ რ. | 14 | 7 | 5 | 2 | 26—12 | 19 |
| „ტორპედო“ | 14 | 7 | 4 | 3 | 21—16 | 18 |
| „ნისტრუ“ | 14 | 7 | 3 | 4 | 20—15 | 17 |
| „კარპატი“ | 14 | 7 | 3 | 4 | 16—12 | 17 |
| „ტავრია“ | 14 | 6 | 4 | 4 | 20—14 | 16 |
| „კუზბასი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 17—13 | 15 |
| „დინამო“ მნ. | 13 | 5 | 5 | 3 | 19—14 | 15 |
| „ჟალგირისი“ | 14 | 3 | 9 | 2 | 17—14 | 15 |
| „თერგი“ | 15 | 6 | 2 | 7 | 19—23 | 14 |
| „სპარტ“. ი.-ფ. | 14 | 6 | 2 | 6 | 18—23 | 14 |
| „პამირი“ | 15 | 3 | 8 | 4 | 13—13 | 14 |
| „მეტალურგი“ | 14 | 3 | 5 | 6 | 12—20 | 11 |
| „შინიკი“ | 13 | 3 | 5 | 5 | 8—13 | 11 |
| „ურალმაში“ | 14 | 4 | 2 | 8 | 10—19 | 10 |
| ასკ ოდ. | 14 | 3 | 4 | 7 | 13—20 | 10 |
| „დინამო“ ლ. | 14 | 2 | 5 | 7 | 14—21 | 9 |
| „კოლხოზჩი“ | 15 | 2 | 5 | 8 | 14—26 | 9 |
| „სპარტ“. ორ. | 15 | 3 | 2 | 10 | 10—20 | 8 |

## ხელბურთი

**თბილისის** სპორტის სასახლეში გრძელდება უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპის („ბ“ ქვეჯგუფი) მატჩები.

მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი და მინსკელი არმიელები, თბილისის „ბურევესტნიკი“ და გროდნოს „პროგრესი“. პირველ მატჩში გაიმარჯვეს ბელორუსმა ხელბურთელებმა — 27:26 (14:13), ხოლო მეორეში — თბილისელებმა — 28:24 (14:14).

გუშინ საღამოს გაიმართა თბილისის ტურის ბოლო შეხვედრები.

## ჭადრაკი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა.

ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა აფხაზეთის ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატ რ. დადიანს — 9,5 ქულა 13-დან. ამდენივე ქულა, მაგრამ ნაკლები მოგებული პარტია ჰქონდა ოსტატობის კანდიდატ გ. გამრეკელს, რომელსაც ამის გამო II ადგილი ერგო. III ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი ბ. გვენცაძე (ორივე — თბილისი) — 9.

ეს სამი მოჭადრაკე გაისად პერსონალურადაა მიწვეული „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობის ფინალში, ხოლო დადიანი, აგრეთვე, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში, რომელიც სპორტის ოსტატის ნორმატივით ტარდება.

გ. ფამილიანტი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ზედიზედ მეორედ

**ყაზანში** დამთავრდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო ქვეჯგუფებში. საქართველოს ფეხბურთელებმა დაამარცხეს ბელორუსიის (1:0), აზერბაიჯანის (2:1), ლენინგრადის (3:0) გუნდები და ფრედ ითამაშეს სომხეთის ნაკრებთან — 1:1.

ფინალში ჩვენი ფეხბურთელები შეხვდნენ ტაჯიკეთის გუნდს, დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:0 და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს „შრომითი რეზერვების“ ჩემპიონის წოდება (გუნდის უფროსი მწვრთნელი მ. ანთიძე, მწვრთნელები — რ. გალუსტიანი და ჯ. ნოდია).

## ველოსპორტი

**ინგლისის** გზებზე დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა „რძის ტურნე“. 1800 კილომეტრზე მეტი სიგრძის ტრასის გავლას საბჭოთა ნაკრებმა 136 საათი, 55 წუთი და 32 წამი მოანდომა და გამარჯვება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე არიან შვეციისა და ინგლისის კოლექტივები. პირად პირველობაში იმარჯვა პოლონელმა ი. ბეჟენმა — 45:38.44.

**დამთავრდა** საერთაშორისო ველორბოლა „თეთრი ღამეები“, რომლის ტრასა ლენინგრადიდან ტალინამდე გრძელდებოდა და 1418 კილომეტრს უდრიდა. გუნდური პირველობა ლატვიელმა სპორტსმენებმა მოიგეს — 96:03.26. პირად ჩათვლაში იმარჯვა ამ გუნდის წევრმა ვ. გალინაუსკასმა — 31:57.23.



## მსოფლიოს XI ჩემპიონატი

### გაუჩიტოს ტალღაზე

**25 ივნისის** ფინალური მატჩისთვის შერჩეულია 5 მსაჯი: ვურცი (საფრანგეთი), გონელა (იტალია), ბარეტო რუიზი (ურუგვაი), კლაინი (ისრაელი) და კოერეცა (არგენტინა). ამ უკანასკნელმა უკვე იმსაჯა ჩემპიონატის გახსნის დღეს გფრ — პოლონეთის მატჩი. მისი და იტალიელი გონელას კანდიდატურები ავტომატურად მოიხსნება, თუ კი მათი ქვეყნის ნაკრებები ფინალში გავლენ.

• • •

**მექსიკელებთან** მოგება, პოლონელებთან კარგი თამაში, გფრ-სთან რაც შეიძლება ნაკლები ბურთის გაშვება — ამ დევიზით ხელმძღვანელობდა ტუნისელთა მწვრთნელი მ. ჩეტალი და, როგორც დავინახეთ, თავისი სიტყვა შეასრულა კიდეც. რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას: „დიდი სამი ან ოთხი ფეხბურთელი თუ დარჩეს ტუნისში. დანარჩენები სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში გადავლენ“, — განაცხადა ტუნისელთა ნახევარდაცვის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯ. ტარაკმა.

• • •

**მიმდინარე** მსოფლიო ჩემპიონატზე პერუს გუნდის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ამ ქვეყნის ცნობილი ფეხბურთელის, 28 წლის თეოფილ კუბილასის შესანიშნავმა თამაშმა. ნაკრების შემადგენლობაში იგი პირველად გამოვიდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში. მაშინ მან 5 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ კუბილასი გამოდიოდა ჯერ „ფკ ბაზელში“ (შვეიცარია), შემდეგ — „ფკ პორტოში“ (პორტუგალია).

ახლა თ. კუბილასი თავის შვიდ ძმასთან და ერთ დასთან ერთად ლიმაში ცხოვრობს. ოჯახს ერთი რამ აწუხებს — დარჩება თუ არა შინ თეოფილი? — ნიუ-იორკის „კოსმოსი“ უკვე სთავაზობს მას კონტრაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

სსრ კავშირის პირველობა

# მინიმალური სხვაობით

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 11 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი) — 17:18 (7:6).

„ლოკომოტივი": ჩაჩანიძე, სუთიაშვილი, შ. ხარშილაძე, ცხვედიანი (მგელაძე), ჭვარიძე, პეტუხოვი, ბენდიაშვილი, ლიბრაძე, კილასონია, გაბაძე, ავლასტიმოვი, სალთხუციშვილი, ლიპარტელიანი, მ. ხარშილაძე, გიორგაძე.

„ფილი": კუდრიაშოვი, კაპიტონოვი, ფიოდოროვი, დოროფეევი, ლიხაჩოვი, ნეჩაევი, ემელიანოვი, იურევი, ივაშოვი, კაჩანოვი, ნაუმკინი, ვრობლევსკი, ხრუშჩოვი, ევსეევი (კოლომენცევი), დროჟკინი.

მსაჯი ზ. გვოძინსკასი (კაუნასი).

„ლოკომოტივი" წარმატებაში დარწმუნებული იყო და მინდორზეც მორიგი ორი ქულის მოპოვებისა და პოზიციების განმტკიცების სურვილით გავიდა.

შეხვედრის თითქმის მთელი პირველი ნახევარიც თბილისელთა უპირატესობის დადასტურება იყო: უკვე მე-8 წუთზე გაბაძემ შესანიშნავი რეიდი განახორციელა — რამდენიმე მეტოქის მოტყუება შეძლო და მხოლოდ მაშინ, როცა უკეთეს პოზიციაში მყოფი ლიპარტელიანი შენიშნა, ბურთი დაუყოვნებლივ გადააწოდა. მან კი „ფილის" ქალაქის აღებით ანგარიში გახსნა. მერე კილასონიამ საჯარიმოთი ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის გაატარა — 7:0.

მაგრამ შესვენებამდე ათიოდე წამით ადრე მოსკოველებმა კარგად ისარგებლეს რკინიგზელთა დაცვის შეუთანხმებლობით მათი ჩათვლის მოედანში შეიჭრნენ და რეალიზაციაც ზუსტად დაარტყეს. ეს მოხდა 42 წუთზე, 7:6 — ასე დამთავრდა ტაიმი.

შესვენების შემდეგ ჯერ კილასონიამ (საჯარიმოთი), მერე გაბაძემ („ფილის" „ქალაქის" აღებით) თავიანთი გუნდი ისევ დააწინაურეს — 14:6. იმის თქმა, რომ „ლოკომოტივმა" თავი ვალმოხდილად ჩათვალა, არ იქნებოდა სწორი — ბიჭები ისევ თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ამ დღეს გუნდის წევრთა უმეტესობა რატომღაც ჩვეული ოსტატობით ვერ მოქმედებდა და მათ დაცვაში ზედიზედ დაშვებულმა რამდენიმე შეცდომამ „ფილის" დაწინაურების საშუალება მისცა — 15:14.

კილასონიამ საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე კიდევ ერთი საჯარიმო გამოიყენა, მაგრამ იმავე წუთში კაჩანოვმა არეინით დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა და ჩემპიონატის პოტენციალური ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი" დამარცხდა.

დასანანი წაგებაა, მაგრამ თბილისელებს ჯერ ყველაფერი როდი დაუკარგავთ, წინ კიდევ საინტერესო შეხვედრები აქვთ, 14 ივნისს შინ მოსკოვის „სლავას" უმასპინძლებენ და წარმატების შემთხვევაში, მდგომარეობა ისევ გასწორდება.

მ. სამადაშვილი.

# თამაშია საჭირო!

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 11 ივნისი.

„ელვა" (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო) 3:19 (0:10).

„ელვა": გ. ნიჟარაძე, სანებლიძე, დადეშქელიანი, ჭანკოტაძე, ვაზაგაშვილი, რეხვიაშვილი, შავდია, გრიგოლავა, მენაბდე, ჩოგოვაძე, ეკალაძე, პაიჭაძე, მ. ნიჟარაძე, გვალია, ცინცაძე.

სსა: თუშიშვილი, ივანოვი, კლიუკვინი, სოროკინი, ხემენიხინი, ალიოშინი, კულიკოვი (ტიხომიროვი), პროშინი, სლავატოვი (შიშკოვი), ერმაკოვი, კარპუხინი, გრაჩოვი, ნაპოლნოვი, ვლადიმიროვი, კარცევი.

მსაჯი ი. ვილდტგრუბე (ლენინგრადი).

„ელვას" გუნდში ბევრი რამ წესრიგში რომ არ არის „ლელო" ამის შესახებ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე წერდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ გუნდის უფროსის პოსტზე კანდიდატურის შერჩევა აქამდე გაგრძელდებოდა და მისი ფუნქციების შესრულება ახალგაზრდა მწვრთნელებს ი. კიზირიასა და მ. გეგეშიძეს მოუხდებოდათ, რომლებსაც ისეც ბევრი საზრუნავი აქვთ. ალბათ, ამანაც იმოქმედა, რომ გუნდში დისციპლინა დაბალ დონეზეა.

შარშანდელ ჩემპიონთან — „ფილისთან" შეხვედრაში თბილისელ რეგბისტებს ნერვებმა აშკარად უღალატეს. მსაჯმა, რომელმაც რამდენიმე შეცდომა მართლაც დაუშვა, „ელვას" კაპიტანი ეკალაძე დროულად გააფრთხილა ზედმეტად აღგზნებული გუნდი დაეწყნარებინა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, მასპინძლები იმდენად გათამამდნენ, რომ მინდორზე მუშტი-კრივი გამართეს. ჯერ გვალიამ მსაჯის გაფრთხილების ნიშნად ყვითელი ბარათი დაიმსახურა, ხოლო შემდეგ მენაბდემ ასპარეზობის არბიტრიც არ დაინდო, რისთვისაც იგი სამართლიანად გააძევეს მინდვრიდან. მენაბდემ შარშანაც რამდენჯერმე „გამოიჩინა თავი", მაგრამ ზოგჯერ მისთვის განკუთვნილ სასჯელს თანაგუნდელები ინაწილებდნენ (?!), რამაც იგი ისე გაათამამა, რომ კვირას ასეთ დანაშაულამდე მივიდა.

ეს შემთხვევა საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

გ. ლელაძე.



რაც უფრო ახლოვდება მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, მით უფრო მატულობს დედაქალაქის სპორტული ბაზების მშენებლობის ტემპი. ახლა ლუჟნიკში სპეციალური საშვის გარეშე ველარავინ შევა, რადგან ირგვლივ სამონტაჟო სამუშაოებია.

სურათზე: უნივერსალური სპორტული დარბაზის მშენებლობაზე.

# მუჰამედ ალი მოსკოვში

„მე არ ვაპირებ ვინმეს ვუთხრა, რომ ჩემპიონი და ყველაზე საუკეთესო მოკრივე ვარ, — განუცხადა მუჰამედ ალიმ ჟურნალისტებს მოსკოვის შერემეტიევოს აეროდრომზე. — მინდა შევხვდე საბჭოთა ადამიანებს, დაველაპარაკო მათ, რაზე ფიქრობენ, რა აღელვებთ. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა საბჭოთა კავშირში ჩამოვსულიყავი".

მსოფლიოს ერთ-ერთი უპოპულარესი სპორტსმენი ორშაბათ დილით ჩამოფრინდა მოსკოვში „ილ-62" თვითმფრინავით. იგი ჩვენში სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა. ალი ტაშკენტსა და სამარყანდსაც ესტუმრება.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალებს შორის ალიმ დათმო ლეონ სპინქსთან ორთაბრძოლაში. მიმდინარე წლის შემოდგომაზე შედგება მატჩ-რევანში. ალი სსრ კავშირში მოგზაურობის დროს აპირებს დილდილობით კროსების ჩატარებას და თუ შემთხვევა მიეცა ერთ-ერთი სპორტული საზოგადოების კრივის სექციაში მეცადინეობასაც.

— კარგად ვიცნობ საბჭოთა მოკრივეებს, — თქვა ალიმ. — მათ 1960 წლის რომის ოლიმპიურ თამაშებზე შევხვდი. შემდეგ 1969 წელს სსრ კავშირისა და აშშ-ს მოკრივეების პირველ სამატჩო შეხვედრას ვტელეკომენტატორობდი. რა თქმა უნდა, ის კრივი, რომელსაც მე მივსდევ და ის კრივი, რომელიც სამოყვარულო რინგზე არსებობს მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ პროფესიონალებს შეუძლიათ ბევრი რამეს დაესესხონ საბჭოთა მოკრივეებს და საერთოდ, საბჭოთა სპორტსმენებს. საბჭოთა სპორტის მიღწევები კი საყოველთაოდ ცნობილია.

— თქვენი ვიზიტის მიზანი საბჭოთა კავშირში?

— ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ სსრ კავშირში პირველად ვარ. ამ მოგზაურობაზე დიდი ხანია ვოცნებობდი. სსრ კავშირი დიდი ქვეყანაა და აქ ჩამოსვლა ყოველთვის საპატიოა, ვფიქრობ, ახალ მეგობრებს შევიძენ. საერთოდ, მოხარული ვარ, რომ მე და ჩემი მეუღლე ვერონიკა სსრ კავშირში მოგვიწვიეს.

— აპირებთ თუ არა სპინქსთან მატჩის შემდეგ რინგის დატოვებას?

— მე ვაპირებ კრივის ისტორიაში ვიყო პირველი სპორტსმენი, რომელმაც სამჯერ მოიგო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელია, მაგრამ ყოველივეს ვიღონებ, რათა წარმატებას მივაღწიო. ამის შემდეგ, საზოგადო მოღვაწეობას ვაპირებ. ამერიკელებმა ძალიან ცოტა იციან სხვა ქვეყნების შესახებ. მე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ. თუ ადამიანებს მეტი ურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან, მაშინ უკეთესადაც ითანამშრომლებენ. ვფიქრობ, ამ საქმეს ღირს შეალიო დრო...

— როგორ აპირებთ მოსკოვის დათვალიერებას?

— მსურს დავიწყო უბრალოდ ქალაქში გასეირნებით...

სროლა

ბუქარესტში, რუმინეთის ტყვიის მსროლელთა ღია ჩემპიონატზე მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, მინსკელმა ა. კედიაროვმა „გაქცეულ ტახზე" ასპარეზობისას 573 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგით მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი, ოლიმპიური ჩემპიონი ა. გაზოვი. პისტოლეტის სწრაფ სროლაში შვედმა უ. გუნარსონმა იმარჯვა — 596 ქულა. ქალთა შორის მასპინძელმა ნ. იოსიფმა სტანდარტული შაშხანით წოლილა 596 ქულა მოაგროვა, ხოლო ა. მაკეიმ პისტოლეტით — 580.

ძალოსნობა

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გავირჟოვში, ევროპის 37-ე ჩემპიონატზე, მძიმე წონის პოლონელმა ძალოსანმა მ. სევერინმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა — 260 კგ (117,5+142,5). მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი ძალოსანი კ. პროხლა—257,5 (115+142,5), მესამეზე — ბულგარელი ს. დიმიტროვი — 255 (115+140).

1976 წელს სევერინმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჭაბუკთა შორის. იგი პოლონელ ძალოსანთა „ახალი ტალღის" ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია.

ამ წონით კატეგორიაში საბჭოთა ძალოსნები არ მონაწილეობდნენ.

ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. კოლესნიკოვმა, რომელმაც 60 კილოგრამ. წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 290 კგ ორჭიდის ჯამში და 165,5 კგ — აკვრაში.

ეს საბჭოთა ათლეტების მეორე წარმატებაა.

მძლეოსნობა

ევროპის ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით სპორტსმენები სულ უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ კროსნულ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფიურტის სტადიონზე 25 წლის პოლონელმა გ. რაბშტინმა 100 მეტრზე თარჯებენში 0,11 წამით გააუმჯობესა ა. ერჰარდის (გდრ) მიერ ექვსი წლის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდი. მისი შედეგია 12,48. აქვე ფრანგმა ჟ. რუსომ ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში ევროპის სტადიონების წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი (811 სმ) გაიმეორა.

ლონდონში გამართულ დიდი ბრიტანეთისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩში 23 წლის სტუდენტმა ჰ. გაუდერმა (გდრ) 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში კონტინენტის რეკორდი დაამყარა — 1:24.22,8. ძველი რეკორდის ავტორი იყო საბჭოთა სპორტსმენი ა. სოლომინი. მატჩში, რომელიც სტუმრებმა მოიგეს (204.5:148,5) ყველაზე მაღალ შედეგებს მიაღწიეს გდრ-ის ქალთა გუნდის წევრებმა. 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ოლსნერმა იმარჯვა — 11,17, ხოლო 100 მეტრზე თარჯებენში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. კლიერმა — 12,89. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. ფუქსმა წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი მოიპოვა შუბის ტყორცნაში — 66,26 მ.

მასპინძლებიდან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ს. ლანემენს. ამ ქალმა 200 მეტრი 23,09 წამში გაირბინა (მსოფლიო რეკორდსმენი მ. კოხი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა). ნ. როუზმა 5000 მეტრი ევროპის სტადიონებისთვის წლევანდელ სეზონში საუკეთესო დროში (13.26,6) გაირბინა.

ამერიკის მძლეოსნობის მოყვარულთა კავშირის ჩემპიონატზე, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართა, ბოლო დღეს აშშ-ს ორი რეკორდი დამყარდა. ქალთა შორის ჯ. ანდერსონი მსოფლიოში ყველაზე შორს გადახტა — 6,89, ხოლო ბ. მორჩელმა 200 მეტრზე ნახევარფინალურ შეჯიბრებაში 22,6 წამი აჩვენა.

ბრატისლავაში, გაზეთ „პრავდას", ეროვნული ტელევიზიისა და ნავთობ-ქიმიურ კომბინატ „სლოვნაფტის" საერთაშორისო შეჯიბრებაში სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენმა ჟ. დე ოლივეირამ 17,44 მეტრი აჩვენა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. თბილისელი ვ. სანეევი, რომელმაც ამას წინათ ფეხის ოპერაცია გაიკეთა, 16,60 მეტრზე გადახტა და მეორე ადგილი დაიკავა.

ევროპის რეკორდსმენი ჟ. კოზაკევიჩი (პოლონეთი) ჭოკით 562 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. ბეიერმა (გდრ) ბირთვი წლეულს მსოფლიოში ყველაზე შორს — 21,79 მეტრზე ჰკრა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ჟ. შმიდტმა ბადრო 68,10 მეტრზე ტყორცნა. ლენინგრადელმა ვ. კულებიაკინმა 110 მეტრზე თარჯებენში იმარჯვა — 13,83.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14; 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-23; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორების — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07388